ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №140000

ნომერი: AR142391

თარიღი : 19.04.2012

გაცემის თარიღი : 26.04.2012

გაცნობის თარიღი : 27.04.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანი , მიკრო/რაიონი I , კორპუსი 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვიქტორ ჯანგირაშვილი პ/ნ 01026011388
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 12 ბ. 42

ორგანიზაცია:
- ი/მ ვიქტორ ჯანგირაშვილი კოდი: B11163119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საპროექტო ობიექტების ვიზუალურ მხარეს და მათზე განთავსებულ დეტალებს, არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ობიექტის ფასადის რეკონსტრუქცია შესაძლებლად არ მიაჩნია. ფასადი შეიღებოს არსებულთან მიახლოვებულ ფერში , ხოლო საპროექტო მეტალოპლასტმასის ღიობების ნაცვლად მოეწყოს ალუმინის პროფილი. ველში "ფოტომონტაჟი " უნდა აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით და გაბარიტული ზომების და მასალების დეტალური მითითებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.